საექსპერტო დასკვნა

ქ. თბილისში, ჯორჯ ბალანჩინის ქუჩა #14-ში,
N01.13.01.004.175 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე,
კომერციული/სავაჭრო შენობის არქიტექტურული პროექტის „ტექნიკური
რეგლამენტის შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე“
საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის #41 დადგენილების მოთხოვნებთან
შესაბამისობის დადგენის თაობაზე

ექსპერტიზის თარიღი	16.07.2025

დასკვნის გამოყენების წესები:

- საექსპერტო დასკვნა მოიცავს ტექნიკური რეგლამენტის - „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები“-ს დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის #41 დადგენილებასთან შესაბამისობის შეფასებას და არ ეხება სხვა რაიმე ნორმატიულ თუ ინდივიდუალურ აქტებთან შესაბამისობის ანალიზს.

- საექსპერტო დასკვნაში გამოყენებული ტერმინები შეესაბამება შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესებში გამოყენებულ ტერმინებს და უნდა განიმარტოს აღნიშნული წესების მიხედვით.

- საპროექტო ობიექტის შეფასება განხორციელდა დამკვეთის მიერ მოწოდებულ არქიტექტურულ პროექტზე დაყრდნობით. არქიტექტურულ პროექტში, ასევე მშენებლობის პროცესში და ექსპლუატაციის შემდგომ განხორციელებული ისეთი სახის ცვლილება, რომელიც შეთანხმებული არაა ექსპერტთან ავტომატურად გამოიწვევს გაცემული საექსპერტო დასკვნის გაუქმებას.

- არქიტექტურული პროექტში ისეთი ცვლილება, რომელიც შეუსაბამობაში მოდის წინამდებარე დასკვნის ნაწილებთან, შეთანხმებული უნდა იყოს ექსპერტთან.

- ექსპერტი პასუხს აგებს მხოლოდ არქიტექტურული პროექტის ტექნიკურ რეგლამენტთან შესაბამისობაზე და არა მის განხორციელებაზე ან/და მშენებლობის პროცესში, ასევე ექსპლუატაციის შემდგომ მისგან გადახვევაზე.

- ექსპერტიზისათვის გადმოცემული დოკუმენტაციის სისწორეზე და რეალობასთან შესაბამისობაზე პასუხისმგებლობა ეკისრება მომწოდებელ მხარეს.

ექსპერტიზისათვის გადმოცემული მასალის ჩამონათვალი:

1. შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესებთან შესაბამისობის ანალიზი;
2. პირობითი აღნიშვნები;
3. დასაგეგმარებელი მიწის ნაკვეთის გეგმა;
4. დასაგეგმარებელი შენობის ყველა სართულის გეგმა *(არქიტექტურული ნაწილი)*;
5. დასაგეგმარებელი შენობის ფასადები *(არქიტექტურული ნაწილი)*;
6. დასაგეგმარებელი შენობის ჭრილები *(არქიტექტურული ნაწილი)*;
7. დასაგეგმარებელი შენობის ყველა სართულის გეგმა *(დაკავებულობის და გასასვლელი საშუალებების ნაწილი)*;
8. დასაგეგმარებელი შენობის ყველა სართულის გეგმა *(ხანძარსაწინააღმდეგო ნაწილი)*;
9. დასაგეგმარებელი შენობის ჭრილები *(ხანძარსაწინააღმდეგო ნაწილი)*;
10. დასაგეგმარებელი შენობის ყველა სართულის გეგმა *(მისაწვდომობის ნაწილი)*;
11. ფასადისა და სახურავის დეტალიზაციები;
12. გზა-კიბეების დეტალიზაციები;
13. მისაწვდომობის დეტალიზაციები.

დასკვნის სარჩევი:

გამოყენების და დაკავებულობის კლასიფიცირების შეფასება ---------- 1

შენობის ზოგადი სიმაღლისა და ფართობის შეფასება ---------- 2

კონსტრუქციის ტიპის შეფასება ---------- 3

ავტომობილებთან დაკავშირებული დაკავებულობების შეფასება ---------- 4

ცეცხლისა და კვამლისგან დაცვის საშუალებების შეფასება ---------- 5

ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემების შეფასება ---------- 6

გასასვლელი საშუალებების შეფასება ---------- 7

მისაწვდომობის შეფასება ---------- 8

შიგა გარემოს შეფასება ---------- 9

გარე კედლების შეფასება ---------- 10

სახურავის ანაწყობების და სახურავზედა ნაგებობების შეფასება ---------- 11

წყალსადენი სისტემების შეფასება ---------- 12

ლიფტის შეფასება ---------- 13

პროექტის ზოგადი აღწერილობა:

საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქ. თბილისში, ჯორჯ ბალანჩინის ქუჩა #14-ში, N01.13.01.004.175 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე. აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე 08/12/2022 №6241129 ბრძანების საფუძველზე გაიცა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები. ამავე პირობების საფუძველზე დადგინდა მიწის სამშენებლოდ გამოყენების ფუნქციური კატეგორია და განისაზღვრა საზოგადოებრივი საზღვარი, სამხრეთით არსებული გზის მხრიდან.

საპროექტო შენობასთან სატრანსპორტო მიმოსვლა ხორციელდება საზოგადოებრივი საზღვრიდან, ჯორჯ ბალანჩინის ქუჩის მხრიდან, ამავე არეალდან გათვალისწინებულია საპროექტო შენობასთან სახანძრო ტექნიკით მიდგომა. სახანძრო ტექნიკის მისადგომობის ნორმებთან მიმართებაში დეტალური განმარტება გაკეთებულია ამავე დასკვნის მე-6 თავში.

აღსანიშნავია, რომ დასაგეგმარებელი მიწის ნაკვეთი ხასიათდება მარტივი რელიეფურობით, შესაბამისად სავალდებულოდ არ განისაზღვრა მიწის საკონტროლო დონის დადგენის აუცილებლობა ტექნიკურ რეგლამენტზე დაყრდნობით, არამედ საკონტროლო დონედ მიჩნეულ იქნა მიწის ნაკვეთის ყველაზე დაბალი ნიშნული, რომლის მიხედვითაც გამოვლინდა შენობის კონსტრუქციული სიმაღლე მიწის დონის ზემოთ - 10.30 მეტრის სახით და დადგინდა მიწის დონის ზედა და ქვედა სართულები - ორი მიწის დონის ზედა და ერთი მიწის დონის ქვედა სართულის სახით.

წარმოდგენილი არქიტექტურული პროექტით გათვალისწინებულია სავაჭრო/კომერციული შენობის მშენებლობა. შენობის ფუნქციური დანიშნულებები სართულებზე გადანაწილებულია შემდეგი სახით:

- მიწის დონის ზედა I სართული (0.00 ნიშნულზე) - კომერციული/სავაჭრო სივრცე, მთავარი ფარის ტექნიკური სათავსი და დამხმარე ფართები.
- მიწის დონის ზედა II სართული (+5.375 ნიშნულზე) - კომერციული/სავაჭრო სივრცე და დამხმარე ფართები.

დასაგეგმარებელი შენობის ყველა ნაწილი (გარდა მიწის დონის ქვედა ტექნიკური ფართისა) მისაწვდომია მმმ პირთათვის. მისაწვდომობასთან დაკავშირებული ვრცელი ანალიზი იხილეთ

წინამდებარე დასკვნის მე-8 თავში და დასკვნაზე თანდართულ მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტის საფუძველზე განხორციელებულ შეფასებაში.

საპროექტო შენობის კონსტრუქციული ელემენტების ცეცხლმედეგობის ხარისხი არ მოეთხოვათ შესაბამის გამონაკლისებზე და შენობის სრულად ავტოსამხეფი სისტემით აღჭურვის გათვალისწინებით, აღნიშნულის თაობაზე დეტალური ანალიზი მოყვანილია წინამდებარე დასკვნის მე-2 და მე-3 თავებში.

საპროექტო შენობა ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემებითაა აღჭურვილი. თითოეული ასეთი სისტემის მიმართ ანალიზი მოცემულია დასკვნის მე-6 თავში.

საპროექტო შენობის ფასადები აიწყობა სენდვიჩ-პანელების ფილებით და ნაწილობრივ მოპირკეთდება ალუკაბონდის ფილებით. ფასადებზე მოეწყობა ვიტრაჟები ალუმინის მოჩარჩოებით. ფასადისა და სახურავის ანაწყობების თაობაზე შეფასება მოცემულია წინამდებარე დასკვნის მე-10 და მე-11 თავებში.

1 გამოყენების და დაკავებულობის კლასიფიცირების შეფასება:

- შენობის თითოეული ნაწილი დაკავებულობის და გამოყენების მიხედვით დაკლასიფიცირებულია 302 ქვეთავის შესაბამისად.

- შენობაში გამოყენებულია შემდეგი დაკავებულობის ჯგუფები:

  - **სავაჭრო ჯგუფი სვ.** (სავაჭრო სივრცეები 0.00 და +5.375 ნიშნულებზე) - შეესაბამება 309.1 ქვეთავს, რომლის თანახმად ამ ჯგუფს განეკუთვნება შენობები ან მათი ნაწილები, სადაც გამოფენილია და იყიდება საქონელი, ასევე, განთავსებულია ამგვარი საქონლის მარაგი, ნაკეთობები და სავაჭრო საქონელი და მისაწვდომია საზოგადოებისათვის.

  - **საშუალო საფრთხის შემცველი საქარხნო-სამრეწველო ჯგუფი სმ-1** (მთავარი ფარის ოთახი 0.00 ნიშნულზე; სახანძრო ტუმბოს და წყლის ავზის ოთახი - ცალკე მდგომ შენობაში)- რაც მეტნაკლებად შეესაბამება 306.2 ქვეთავს, საწარმოო პროცესებიდან გამომდინარე.

- თითოეული სივრცისთვის მინიჭებული დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორი შეესაბამება 1004.1.2 ცხრილს:

  - საავაჭრო სივრცისთვის მიწისპირა სართულზე---------- 2.8 მთლიანი;
  - საავაჭრო სივრცისთვის მიწისზედა სართულზე ----------5.6 მთლიანი;
  - ტექნიკური სივრცისთვის--- ---------- 27,9 მთლიანი;

- ზემოაღნიშნული ფაქტორების მიხედვით არის შემდგომ დაანგარიშებული დაკავებულობის დატვირთვა (იატაკის ფართობი გაყოფილია დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორზე). გეგმებზე დატანილი თითოეული სივრცის დაკავებულობის დატვირთვა სწორად არის განხორციელებული.

2 შენობის ზოგადი სიმაღლის და ფართობის შეფასება:

- პროექტით გათვალისწინებულია 2 სართულიანი (2 სართული მიწის დონის ზედა) შენობის მშენებლობა.

- იმის გათვალისწინებით, რომ მიწის ნაკვეთი არ მდებარეობს რთულ რელიეფზე სავალდებულოდ არ განისაზღვრა ტექნიკურ რეგლამენტზე დაყრდნობით მიწის საკონტროლო დონის გამოთვლის ვალდებულება, მიწის დონედ მიჩნეულ იქნა მიწის ნაკვეთის საზღვრებში არსებული რელიეფის ყველაზე დაბალი ნიშნული - -0.10 ნიშნულის სახით, საიდანაც აგეგმარებული სიმაღლის მიხედვით შენობის კონსტრუქციული სიმაღლე განისაზღვრა 10.30 მეტრს სახით.

- სართულებზე დაკავებულობის ჯგუფები გადანაწილებულია შემდეგი სახით:
  - მიწის დონის ზედა I სართული ---------- ჯგუფი სვ (1735.4 მ^2); ჯგუფი სმ-1 (15.2 მ^2);
  - მიწის დონის ზედა II სართული ---------- ჯგუფი სქ (1783.6 მ^2);

- გასათვალისწინებელია, რომ შედარებით მსუბუქი კონსტრუქციული ტიპის მიკუთვნების მიზნით და იმისათვის, რომ კონსტრუქციული ელემენტებისათვის არიდებული ყოფილიყო ცეცხლმედეგობის ხარისხი, საპროექტო შენობა სრულად აღიჭურვა ავტოსაშხეფი სისტემით. აღნიშნულმა განაპირობა შენობის ფართობის მოდიფიცირება/შეცვლა და შედარებით მსუბუქი პარამეტრების კონსტრუქციული ტიპის შერჩევის შესაძლებლობა. კერძოდ, საპროექტო შენობაზე გავრცელდა 506.3 ქვეთავით განსაზღვრული დაშვება, რომლის თანახმად თუ შენობა აღჭურვილია ავტოსაშხეფი სისტემით, 503-ე ცხრილში მოცემული ფართობის შეზღუდვები დასაშვებია, გაიზარდოს დამატებით 200%-ით (IS = 2) შენობებისთვის, რომლებიც მიწის დონიდან ერთ სართულზე მეტია. დამკვეთის სურვილი იყო შერჩეულიყო ცეცხლმედეგობის ხარისხის არ მქონე კონტრუქცია, რომელსაც პასუხობდა IIB ტიპის კონსტრუქციული კატეგორია, ავტოსაშხეფი სისტემის ხარჯზე კი შესაძლებლად ჩაითვალა 503 ცხრილში მოყვანილი დაკავებულობის ფართობების ზრდა 200%-ით. აღნიშნულზე დაყრდნობით კი შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საპროექტო შენობა შეესაბამება 503-ე ცხრილს, თითოეულ სართულზე დაკავებულობის ჯგუფის, ფართობის, სართულიანობის, სიმაღლის და კონსტრუქციის ტიპის (II-B) მიხედვით.

3 კონსტრუქციის ტიპის შეფასება:

- ვინაიდან შენობა სრულად არის აღჭურვილი ავტოსაშხეფი სისტემით და ვინაიდან აღნიშნულზე დაყრდნობით და თანახმად 506.3 ქვეთავისა, დასაშვებად მიიჩნება 503-ე ცხრილში მოცემული ფართობის შეზღუდვები ზრდა დამატებით 200%-ით, შეგვიძლია ჩავთვალოთ, რომ საპროექტო შენობის კონსტრუქციის ტიპი **(II-B)** შენობის სიმაღლის, სართულიანობის, დაკავებულობის ჯგუფის და თითოეულ სართულზე დაკავებულობის

ჯგუფების ფართობის გათვალისწინებით, სწორად არის შერჩეული. IIB ტიპის კონსტრუქციას თანახმად 601 ცხრილისა არ მოეთხოვება ცეცხლმედეგობის ხარისხები, თავის მხრივ კი I ტიპის კონსტრუქციების ელემენტები არაწვადი მასალებისაა.

- რაც შეეხება გარე კედლებს, ვინაიდან საპროექტო შენობის ხანძარსაწინააღმდეგო მანძილები თითოეული სართულის პერიმეტრზე აღემატება 3,0 მეტრს, გარე კედლებისათვის ცეცხლმედეგობის ხარისხის უზრუნველყოფის ვალდებულება არ გამოვლინდა.

4 ავტომობილებთან დაკავშირებული დაკავებულობების შეფასება:

- პროექტით გათვალისწინებულია გარე სივრცეში, ამავე მიწის ნაკვეთის საზღვრებში ავტოსადგომების მოწყობა.
- გარე ავტოსადგომი არ შეესაბამება 406.3 ქვეთავით განსაზრვრულ კერძო ავტოსადგომებს და გადახურულ ავტოსადგომებს და ასევე 406.4 ქვეთავით განსაზღვრულ საზოგადოებრივ (დანიშნულების) ავტოსადგომებს, შესაბამისად აღნიშნულ ავტოსადგომს არ აქვს მინიჭებული რომელიმე დაკავებულობის ჯგუფი, რაც წესებთან მიმართებაში სწორია, თუმცა მასზე გავრცელებულია 406.9 ქვეთავით გათვალისწინებული მოთხოვნები, რაც სრულად არის შესაბამისობაში წესებთან.
- ავტოსადგომები განთავსებულია ამავე მიწის ნაკვეთის საკადასტრო საზღვრებში, რაც აკმაყოფილებს 406.9.2.3 ქვეთავის მოთხოვნას.
- ავტოსადგომებზე ავტომობილისთვის განკუთვნილი ადგილის ზომები შეესაბამება 406.9.3 ქვეთავის მოთხოვნებს.
- საავტომობილო გზების სიგანე აკმაყოფილებს 406.9.4.1 ქვეთავის მოთხოვნას და გზების სიგანე უტოლდება სულ მცირე 3.5 მეტრს.მ
- საავტომობილო გზების შიგა მოხვევის რადიუსი აკმაყოფილებს 406.9.4.2 ქვეთავის მოთხოვნას.
- საავტომობილო გზების ქანობი აკმაყოფილებს 406.9.4.4 ქვეთავის მოთხოვნებს.

- ავტოსადგომზე ავტომობილისათვის განკუთვნილი გასავლელის სიგანე (თითოეული ავტომობილის სადგომისთვის) აკმაყოფილებს 406.9.4.3.1 ცხრილის მოთხოვნებს.
- ავტომობილისთვის განკუთვნილ თითოეულ ადგილს აქვს ინდივიდუალური და მარტივი მისადგომები, რაც შეესაბამება 406.9.4.5 ქვეთავის მოთხოვნას.
- ავტოსადგომზე ავტომობილებისთვის განკუთვნილი ადგილები დახაზულია, თანახმად 406.9.4.6 ქვეთავისა.
- ავტოსადგომებზე შშმ პირთათვის გათვლილი მისაწვდომი ავტომობილების სადგომების რაოდენობა შეესაბამება 1106.1 ცხრილს, ხოლო მათი ზომები აკმაყოფილებს „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“-თ განსაზღვრულ ნორმებს, კერძოდ: ავტოსადგომზე გათვალისწინებულია ორი მიკროავტობუსისთვის განკუთვნილი სივრცე, რაც აკმაყოფილებს 1106.5 ქვეთავის მოთხოვნებს, ხოლო მათი ზომები - „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტების 502 ქვეთავის მოთხოვნებს.

5 | ცეცხლისა და კვამლისგან დაცვის საშუალებების შეფასება:

- ვინაიდან მთლიანი საპროექტო შენობა აღჭურვილია ავტოსაშხეფი სისტემით, შენობის გარე კედლებში არსებული ღიობების შვეულად გამიჯვნა 705.8.5 ქვეთავის მეორე გამონაკლისით არ მოითხოვება. აღნიშნულის ვალდებულება არც ამავე ქვეთავის მესამე გამონაკლისით ვლინდება შენობის სართულიანობიდან გამომდინარე.
- გარე კედლის ღიობების მაქსიმალური ფართობი შეუზღუდავია, ვინაიდან მთელი შენობა აღჭურვილია ავტოსაშხეფი სისტემით, ხოლო პერიმეტრულად ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი აღემატება 6,0 მეტრს. ყოველივე აღნიშნული შეესაბამება 705.8 ცხრილის მოთხოვნას.
- შენობის სახურავს არ ემსახურება პარაპეტი, თუმცა აღნიშნული დასაშვებია 705.11 ქვეთავის მე-6 გამონაკლისით.

- შახტებისაგან შენობის ფართობების გამმიჯნავი წარმოადგენს ცეცხლმედეგ ზღუდეებს, რომელთა ცეცხლმედეგობის ხარისხი უტოლდება 2 საათს, რაც შეესაბამება 707.3.1, 713.2 და 713.4 ქვეთავების მოთხოვნას.

- შიგა გასასვლელის გზა-კიბეებისგან შენობის ფართობების გამმიჯნავი წარმოადგენს ცეცხლმედეგ ზღუდეებს, რომელთა ცეცხლმედეგობის ხარისხი უტოლდება 2 საათს, რაც შეესაბამება 707.3.2 და 1022.2 ქვეთავების მოთხოვნას.

- სართულის დამაკავშირებელი ესკალატორისგან შენობის ფართობის გამმიჯნავი წარმოადგენს ცეცხლმედეგ ზღუდეებს, რომელთა ცეცხლმედეგობის ხარისხი უტოლდება 2 საათს, რაც შეესაბამება 707.3.1, 713.2 და 713.4 ქვეთავების მოთხოვნას.

- შენობა წარმოადგენს ერთ მთლიან ხანძრისგან დაცულ ფართობს, სართულების გამიჯვნის გარეშე და მე-9 თავის ყველაზე მკაცრი მოთხოვნების გათვალისწინებით.

- ტექნიკური სივრცე სხვა ფართებისგან გამიჯნულია 2 საათიანი ცეცხლმედეგი ზღუდეებით.

- კარის ღიობის ცეცხლისაგან დამცავი ანაწყობების ცეცხლმედეგობის ხარისხი განსაზღვრულია 716.5 ცხრილის შესაბამისად.

6 ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემების შეფასება:

ავტოსაშხეფი სისტემა:

- მთელი საპროექტო შენობა აღჭურვილია ავტოსაშხეფი სისტემით, რაც შეესაბამება 903.2.7 ქვეთავის მოთხოვნას.

სახანძრო მილდგარების სისტემა:

- 905.3 ქვეთავის თანახმად II კლასის სახანძრო მილდგარების სისტემები მოწყობილია მთელ შენობაში, შენობის ორივე სართულის დონეზე.

ხელის ცეცხლმაქრები:

- ხელის ცეცხლმაქრები განთავსებულია სახანძრო კარადებში, თითოეული სართულის დონეზე, რაც შეესაბამება, 906 ქვეთავის მოთხოვნას.

სახანძრო განგაშის და ცეცხლაღმომჩენი სისტემები:

- მთელი საპროექტო შენობა აღჭურვილია სახანძრო განგაშის ხელით სამართავი სისტემით, რაც შეესაბამება 907 ქვეთავის მოთხოვნას.
  სახანძრო განგაშის ხელით სამართავი კოლოფები განთავსებულია სართულების მომსახურე გასასვლელიდან არაუმეტეს 1,5 მეტრის საზღვრებში და მათთან მისადგომად არაა საჭირო 60 მეტრზე მეტი მანძილის გავლა, რაც შეესაბამება 907.4.2.1 ქვეთავს. ასეთი სისტემა ააქტიურებს დამკავებელთა შეტყობინების სისტემას. საერთო გამოყენების ფართობზე, დამკავებელთა შეტყობინების სისტემასთან ერთად მოწყობილია მხედველობითი განგაშის მოწყობილობები, რაც შეესაბამება 907.5.2.3.1 ქვეთავის მოთხოვნას. გასათვალისწინებელია, რომ სახანძრო განგაშის სისტემის გააქტიურებისას შეტყობინება უნდა გადაეცემოდეს სახანძრო განგაშის მაკონტროლებელ ერთეულს და გააქტიურებისთანავე ავრცელებდეს შეტყობინებას დამკავებელთათვის. სახანძრო განგაშის სისტემა უნდა აქტიურდებოდეს: 1. ცეცხლის ავტომატური აღმომჩენებით; 2. საშხეფის წყლის ჭავლის მართვის მექანიზმებით; 3. სახანძრო განგაშის ხელით სამართავი კოლოფებით; 4. ავტომატური ცეცხლსაქრობი სისტემებით.

- მთელი შენობა აღჭურვილია კვამლაღმომჩენი დეტექტორებით, რაც შეესაბამება 907.2.15 ქვეთავს. თითოეული ელექტრომექანიკური მოწყობილობის ოთახში მოწყობილია კვამლაღმომჩენები. კვამლაღმომჩენები უზრუნველყოფილია საპროექტო შენობის მუდმივად დაუკავებელი სივრცეებისათვის, თანახმად 907 ქვეთავისა.

- შენობა აღჭურვილია საავარიო განათებით, რაც შეესაბამება 1006.1 ქვეთავს.

კვამლის საკონტროლო სისტემები:

- მთელი შენობა აღჭურვილია კვამლსაწინააღმდეგო ვენტილაციით. აღნიშნული სისტემის საინჟინრო დაგეგმარებისას გათვალისწინებულ იქნას წესების 909 ქვეთავით დადგენილი დებულებები.

სახანძრო-სამაშველო სამსახურის მიერ გამოსაყენებელი მისაერთებლები:

- საპროექტო შენობა აღჭურვილია სახანძრო-სამაშველო სამსახურის მიერ გამოსაყენებელი მისაერთებლით. რაც შეეხება სახანძრო ჰიდრანტს, აღნიშნული გათვალისწინებულია საპროექტო ტერიტორიაზე.
- სახანძრო მისაერთებლები განთავსებულია სახანძრო ტუმბოს შენობის ფასადზე, სახანძრო მისაერთებელი ადვილად დასანახი და ამოსაცნობია, რაც აკმაყოფილებს 912.2.1 ქვეთავის მოთხოვნას.
- მისაერთებელთა დაცულია 0,8მ.X0.9მ. და 2 მეტრის სიმაღლის თავისუფალი სივრცე, რაც შეესაბამება 912.3.2 ქვეთავის მოთხოვნას.

სახანძრო ტუმბო:

- სახანძრო ტუმბო განთავსებულია ცალკე მდგომ შენობაში, რომელსაც პირდაპირი წვდომა აქვს გარე სივრცესთან.

სახანძრო და საავარიო-სამაშველო ტექნიკის გადაადგილებისა და შენობა-ნაგებობასთან მისასვლელი გზის დაგეგმარება:

- შენობა-ნაგებობის სახანძრო ტექნიკური სიმაღლე განსაზღვრულია 5.4 მეტრით, შესაბამისად სახანძრო ტექნიკის მისადგომი გზების დაგეგმარებისას გამოყენებულ იქნა 915.7 ქვეთავის მოთხოვნა, რომლის თანახმად ახალი ან არსებული განაშენიანების ტერიტორიაზე სვ ჯგუფის შენობებთან, რომელთა სახანძრო-ტექნიკური სიმაღლე არ აღემატება 10 მეტრს,

სახანძრო და საავარიო-სამაშველო ტექნიკის მისასვლელი გზა უნდა მიდიოდეს შენობის მთავარ შესასვლელ კარამდე არა უმეტეს 15 მეტრის დაშორებით. მისასვლელი გზა უნდა მოეწყოს ისე, რომ შენობის პირველი სართულის გარე კედლის ნებისმიერი ნაწილი განთავსებული იყოს სახანძრო და საავარიო-სამაშველო ტექნიკის მისასვლელი გზიდან არა უმეტეს 45 მეტრის მანძილზე. აღნიშნული მოთხოვნები საპროექტო დოკუმენტაციით დაცულია.

- სახანძრო და საავარიო-სამაშველო ტექნიკის გადაადგილებისათვის განკუთვნილი გზების სიგანე უტოლდება 6,0 მეტრს, ასეთ გზაზე თავისუფალი და ჩაუხერგავი შვეული სიმაღლე არის შეუზღუდავი, ხოლო გზის მოხვევის შიგა რადიუსები განსაზღვრულია 6,0 მეტრით. ყოველივე აღნიშნული შეესაბამება 915.4 ქვეთავის მოთხოვნას.
- სახანძრო ავტოკიბეებისა და ავტოამწეების დგომის დახრა არ აღემატება 10%-ს, რაც შეესაბამება 915.16 ქვეთავის მოთხოვნას.
- საპროექტო მიწის ნაკვეთის საზღვრებში უზრუნველყოფილია სახანძრო ტექნიკის მოსატრიალებელია სივრცე 915.23 ქვეთავის მოთხოვნათა დაცვით.

7 გასასვლელი საშუალებების შეფასება:

- შენობაში, თითოეული სართულისთვის გასასვლელების რაოდენობა აკმაყოფილებს 1021.2 ქვეთავის მოთხოვნებს, კერძოდ:

<u>+5.375 ნიშნული:</u>

- იმის გათვალისწინებით რომ აღნიშნულ დონეზე სვ ჯგუფის დაკავებულობის დატვირთვა და გასასვლელამდე სავალი მაქსიმალური მანძილი არ შეესაბამება 1021.2(2) ცხრილის მოთხოვნებს, თუმცა დაკავებულობის დატვირთვა ასევე არ აღემატება 500 დამკავებელს, სართულს ესაჭიროება ორი გასასვლელი, რაც წარმოდგენილი პროექტით გათვალისწინებულია ორი შიგა გასასვლელის გზა-კიბის სახით.
- შიგა გასასვლელის გზა-კიბეები 0.00 ნიშნულის დონეზე გარე სივრცეს უკავშირდება პირდაპირ, რაც აკმაყოფილებს 1022.1 ქვეთავის მოთხოვნას.
- ზემოაღნიშნული კიბეებში შემავალ ორ კარს შორის დაცულია 1015.2.1 ქვეთავის მოთხოვნები.

0.00 ნიშნული:

- აღნიშნულ დონეზე სვ და სწ-2 ჯგუფების დაკავებულობის დატვირთვის ჯამური მონაცემი აღემატება 500 დამკავებელს, შესაბამისად 1021.2.4 ქვეთავის მიხედვით, სართულს ესაჭიროება სამი გასასვლელი, რაც წარმოდგენილი პროექტით დაკმაყოფილებულია და აღემატება კიდეც აღნიშნულს, კერძოდ სართულს ემსახურება ექვსი გასასვლელის გზა-კარი.
- ზემოაღნიშნული გასასვლელებიდან სულ მცირე ორ გასასვლელს შორის დაცულია 1015.2.1 ქვეთავის მოთხოვნები.

- შენობის +5.375 ნიშნულის მომსახურე შიგა გასასვლელის გზა-კიბეების ცეცხლმედეგობის ხარისხი აკმაყოფილებს 1022.2 ქვეთავის მოთხოვნებს, ამას გარდა შიგა გასასვლელის გზა-კიბეებში მოეწყობა მხოლოდ 1022.5 ქვეთავის შესაბამისი გაყვანილობები.

- თითოეული სივრცისთვის დაკმაყოფილებულია 1015.1 და 1014.3 ცხრილების მოთხოვნა და თითოეული დაკავებულობის ჯგუფი სარგებლობს შესაბამისი რაოდენობის გასასვლელი საშუალებით დამკავებელთა რაოდენობიდან და საერთო სავალი ბილიკიდან გამომდინარე.

- გასასვლელებთან მისადგომი სავალი მანძილი, თითოეული სართულისთვის/სივრცისთვის აკმაყოფილებს 1016.2 ცხრილით განსაზღვრულ მაქსიმალურ მაჩვენებლებს.

- გზა-კიბეების გამტარუნარიანობის გამოსათვლელად დაკავებულობის დატვირთვა გამრავლებულია გასასვლელი საშუალების მმ გამტარუნარიანობის ფაქტორზე, რომელიც 7,6 მმ-ია თითო დამკავებელზე. ასეთი სახით გამოთვლილი +5.375 ნიშნულის მომსახურე შიგა გასასვლელის გზა-კიბეების გამტარუნარიანობა მეტია 1009.4 ქვეთავით განსაზღვრულ მინიმალურ თავისუფალ სიგანეზე (1.10 მეტრის სახით) და თითო კიბისთვის უტოლდება 1,21 მეტრს, თუმცა წარმოდგენილი პროექტით კიბეების სიგანე აღემატება ზემოაღნიშნულ მონაცემს და უტოლდება 1.60 მეტრს.

- შენობებში გასასვლელი საშუალებების სხვა კომპონენტების (კარის) გამტარუნარიანობის გამოსათვლელად დაკავებულობის დატვირთვა გამრავლებულია გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობის ფაქტორზე, რომელიც თითო დამკავებელზე 5,1 მმ-ია. ასეთი სახით გამოთვლილი კარის გამტარუნარიანობა ნაკლებია 1008.1.1 ქვეთავით განსაზღვრულ მინიმალურ თავისუფალ სიგანეზე (0.82 მეტრის სახით). წარმოდგენილი არქიტექტურული

პროექტით დაკმაყოფილებულია წესების მოთხოვნები და საპროექტო შენობების მომსახურე თითოეული გასასვლელი საშუალების კარის თავისუფალი სიგანე სულ მცირე 0.82 მეტრია.

- გზა-კიბეების საზღვრებში გასავლელის თავისუფალი სიმაღლე არ არის 2,05 მეტრზე ნაკლები, რაც შეესაბამება 1009.5 ქვეთავის მოთხოვნას.

- გზა-კიბეების საფეხურების ზომები შეესაბამება 1009.7.2 ქვეთავის მოთხოვნებს, ამასთანავე თითოეულ კიბეზე, თითოეული მარშის საზღვრებში საფეხურების ერთგვაროვნება დაცულია, თანახმად 1009.7.4 ქვეთავისა.

- გზა-კიბეების ბაქნები არ არის გზა-კიბის მარშის სიგანეზე ნაკლები. ასევე კიბეების მიმართულებით გაღებული კარი, კიბის ბაქანს არ ამცირებს აუცილებელი სიგანის ნახევარზე მეტად. რაც აკმაყოფილებს 1009.8 ქვეთავის მოთხოვნებს.

- იატაკის დონეებსა ან ბაქნებს შორის კიბის მარშის შვეული ამაღლება არ აღემატება 3.7 მ-ს, თანახმად 1009.10 ქვეთავისა.

- კიბეების მოაჯირები აკმაყოფილებს 1013 ქვეთავის მოთხოვნებს.

- კიბეების სახელურები აკმაყოფილებს 1012 ქვეთავის მოთხოვნებს.

- 1009.16 ქვეთავის თანახმად, სახურავზე მიდგომა არ მოეთხოვება მიწის დონიდან ოთხ სართულამდე შენობებს.

- ყველა ის კარი (გარდა ცენტრალური კარისა) რომელიც გასასვლელს ან გასასვლელთან მისადგომს წარმოადგენს, იღება გვერდითა ანჯამების საშუალებით, რაც შეესაბამება 1008.1.2 ქვეთავის მოთხოვნას. რაც შეეხება ცენტრალურ კარს, აღნიშნული წარმოადგენს ელექტროენერგიაზე მომუშავე კარს, რომელიც უნდა პასუხობდეს 1008.1.4.2 ქვეთავის მოთხოვნებს.

- შენობაში გათვალისწინებული ესკალატორები არ გამოიყენება გასასვლელ საშუალებად, რაც შეესაბამება 1003.7 ქვეთავის მოთხოვნას.

- ყველა იმ ფართში სადაც ავეჯი ან შესაბამისი ინვენტარია განთავსებული, გასავლელის სიგანე აკმაყოფილებს 1017.3 და 1017.5 ქვეთავების მოთხოვნებს.

- თითოეულ გასასვლელის კარს ემსახურება გასასვლელის ნიშანი, თანახმად 1011.1 ქვეთავისა. გასასველლის ნიშნების განათებულობა გათვალისწინებულია. ამობურცული ნიშნებითა და

ბრაილით წარწერა „გასასვლელი/EXIT“ მოწყობილია გასასვლელის ყველა მისაწვდომ გზა-კართან, რაც შეესაბამება 1011.4 ქვეთავის მოთხოვნას.

- გზა-კიბის ამოსაცნობი ნიშნის მოწყობა არ არის აუცილებელი გზა-კიბეებში, რომელთა სართულიანობა არ აღემატება სამს, თანახმად 1022.9 ქვეთავისა.

8 მისაწვდომობის შეფასება:

- თანახმად 1103.1 ქვეთავისა, დროებითი ან მუდმივი ადგილები, შენობები, ნაგებობები, საშუალებები, ელემენტები და სივრცეები, მისაწვდომი უნდა იყოს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის. აღნიშნული მოთხოვნა საპროექტო დოკუმენტაციით დაცულია და მთელი საპროექტო შენობა მისაწვდომია.

- მისაწვდომი სვლაგეზი უზრუნველყოფილია საზოგადოებრივი სივრციდან შენობის მთავარ შესასვლელემდე და შენობის ყველა დაკავებულ დონეზე, თანახმად 1104 ქვეთავისა.

- თანახმად 1104.5 ქვეთავისა, მისაწვდომი სვლაგეზები უნდა ემთხვეოდეს საერთო გამოყენების მიმოსვლის ბილიკს ან მდებარეობდეს იმავე ფართობზე, რომელზეც საერთო გამოყენების მიმოსვლის ბილიკი. აღნიშნული მოთხოვნა საპროექტო დოკუმენტაციით დაცულია. მისაწვდომი სვლაგეზის პარამეტრები შეესაბამება „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“-ს მოთხოვნებს. იხილეთ სტანდარტის შეფასება.

- საპროექტო შენობის მომსახურე ყველა მთავარი შესასვლელი მისაწვდომია, რაც შეესაბამება 1105.1 ქვეთავის მოთხოვნას.

- გარე ავტოსადგომზე მოწყობილია 1106.1 ცხრილის გათვალისწინებით მისაწვდომი ავტოსადგომები. ასეთი ორივე ავტოსადგომი მიკროავტობუსისათვის არის განკუთვნილი.

- საპროექტო ფართობებს ემსახურება მისაწვდომი ტუალეტის ოთახები, რაც შეესაბამება 1109.2 ქვეთავს. მისაწვდომი ტუალეტის ოთახები დაგეგმარებული მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტების მოთხოვნათა დაცვით. იხილეთ სტანდარტის შეფასება.

- მისაწვდომ სვლაგეზზე მდებარე სამგზავრო ლიფტი მისაწვდომია შშმ პირთათვის და აკმაყოფილებს „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“-ს მოთხოვნებს. იხილეთ სტანდარტის შეფასება.

- შენობაში მისაწვდომ სივრცეებს ემსახურება შესაბამისი რაოდენობის მისაწვდომი გასასვლელი საშუალება, რაც შეესაბამება 1007.1 ქვეთავის მოთხოვნას. თითოეული აუცილებელი მისაწვდომი გასასვლელი საშუალება უწყვეტად მიემართება საზოგადოებრივი გზისკენ და მოიცავს გზა-კიბეებს და მისაწვდომ სვლაგეზს, რაც შეესაბამება 1007.2 ქვეთავის მოთხოვნას.

- გასათვალისწინებელია, რომ თავშესაფრის ფართობები საჭირო არ არის გზა-კიბეებთან შენობებში, რომლებიც მთლიანად 903.3.1.1 ან 903.3.1.2 ქვეთავის მიხედვით დაყენებული ავტოსაშხეფი სისტემითაა აღჭურვილი, თანახმად 1007.3 ქვეთავის მე-2 გამონაკლისისა.

- შშმ პირთათვის განკუთვნილ ლიფტთან, შენობის მეორე სართულის დონეზე, მოწყობილია ორმხრივი კავშირის სისტემა, რაც შეესაბამება 1007.8 ქვეთავის მოთხოვნას. გასათვალისწინებელია, რომ ორმხრივი კავშირის სისტემა უნდა უზრუნველყოფდეს კავშირს ყველა საჭირო ადგილსა და ცენტრალურ საკონტროლო წერტილს შორის. იქ, სადაც ცენტრალურ საკონტროლო პუნქტში მუდმივად არ მორიგეობენ, ორმხრივი კავშირის სისტემას უნდა ჰქონდეს სინქრონული, ავტომატური ტელეფონის ციფრების დისკო, რომლითაც შესაძლებელია სამეთვალყურეო ადგილთან დაკავშირება ან 112-ზე დარეკვა. ორმხრივი კავშირის სისტემის გამოყენების წესები, ორმხრივი კავშირის სისტემის საშუალებით დახმარების მიღების მითითებები და ადგილის ამოსაცნობი წარწერა გამოკრულია ორმხრივი კავშირის სისტემის მომიჯნავედ.

- მისაწვდომი გასასვლელის ნიშანი განთავსებული გასასვლელის მომსახურე ყველა შესაბამის კართან, რაც აკმაყოფილებს 1011.4 ქვეთავის მოთხოვნას.

9 შიგა გარემოს შეფასება:

- მთლიანი შენობა უზრუნველყოფილია მექანიკური განიავების სისტემით, თანახმად 1203.1 ქვეთავისა.

- ტუალეტის ოთახები ნიავდება მექანიკურად, რაც შეესაბამება 1203.4.2.1 ქვეთავის მოთხოვნას.

- გასასვლელის საავარიო განათება მოწყობილია გასასვლელი საშუალებების ყველა ნაწილში (გზა-კიბეების საზღვრებში თითოეული სართულის დონეზე, გასასვლელთან მისადგომ

ბილიკებზე თითოეული სართულის დონეზე,, სახანძრო ტუმბოს ოთახში). ყოველივე აღნიშნული შეესაბამება 1205.5 და 1006.1 ქვეთავების მოთხოვნებს.

- ბუნებრივი განათების მიზნით მოწყობილი ღიობები გადის ეზოში, რომელიც იმავე საკუთრებაშია, რომელზეც დგას შენობა. ეზოს სიგანე აკმაყოფილებს 1206.2 ქვეთავის მოთხოვნას.

- არცერთი დაკავებული და გამოყენებადი სივრცის ჭერის სიმაღლე არ არის 2,3 მ-ზე ნაკლები, რაც შეესაბამება 1208.2 ქვეთავს.

10 გარე კედლების შეფასება:

- გარე კედლების მასალად გამოყენებულია სენდვიჩპანელები.

- გარე კედლად გამოყენებული ლითონშემკვლელი მასალები უნდა აკმაყოფილებდეს 1407 ქვეთავის მოთხოვნებს და უნდა პასუხობდეს შემდეგ მოთხოვნებს:

  - ლითონშემკველი მასალების ალის გავრცელების ინდექსი უნდა იყოს 75 ან 75-ზე ნაკლები, ხოლო კვამლის განვითარების ინდექსი - 450 ან 450-ზე ნაკლები.

- ჰიდროიზოლაცია მოწყობილი უნდა იყოს გარე კედლისა და ფანჯრის ანაწყობების, გარე კედლისა და სახურავის გადაკვეთის არეალებში, თანახმად 1405.4 ქვეთავის მოთხოვნისა.

  ყოველივე აღნიშნულთან დაკავშირებით შესაბამისი ინფორმაცია ასახულია წარმოდგენილ არქიტექტურულ პროექტში და აღნიშნული სავალდებულოდ უნდა იქნას გათვალისწინებული მშენებლობის პროცესში.

11 სახურავის ანაწყობების და სახურავზედა ნაგებობების შეფასება:

- სახურავის მასალად გათვალისწინებულია სენდვიჩპანელი.

- სახურავის დახრა განსაზღვრულია 10 %-ით.

- სახურავის ბურულის კლასიფიკაცია უნდა განისაზღვროს C კლასის კატეგორიით. C კლასის სახურავის ანაწყობებად ითვლება ის ანაწყობები, რომლებიც ტესტირების დროს უძლებს სუსტი ცეცხლის ზემოქმედებას.

12 წყალსადენი სისტემების შეფასება:

- თითოეული სქესის დამკავებელთა რაოდენობის დასადგენად, დამკავებელთა საერთო რაოდენობა ორზე არის გაყოფილი, მოწყობილობების აუცილებელი რაოდენობის გამოსათვლელად, მოწყობილობების პროპორცია თითოეული მოწყობილობის ტიპისთვის თითოეული სქესის დამკავებელთა რაოდენობას მიესადაგება 1602.1 ცხრილის შესაბამისად. 1602.1 ცხრილის გამოყენებისას მიღებული წილადი რიცხვები კი მომდევნო მთელ რიცხვამდეა დამრგვალებული. ყოველივე აღნიშნული შეესაბამება 1602.1.1 ქვეთავის მოთხოვნას, კერძოდ:

<u>0.00 ნიშნულზე:</u>

- **სვ ჯგუფად** დაკლასიფიცირებული კომერციული სივრცის დაკავებულობის დატვირთვა აღემატება 50 დამკავებელს და უტოლდება 617 დამკავებელს, შესაბამისად წესების 1602.2 ქვეთავის მე-2 გამონაკლისის თანახმად, საჭიროა გათვალისწინებულ იქნას ცალ-ცალკე სქესისათვის გათვალისწინებული წყალსადენი სისტემები. წარმოდგენილი პროექტით, სქესის დაყოფის საკითხი დაკმაყოფილებულია. რაც შეეხება წყალსადენი სისტემების რაოდენობას, აღნიშნული პასუხობს წესების 1602.1 ცხრილის მოთხოვნებს და პროექტით აღნიშნული სართულისთვის გათვალისწინებულია ორი ტუალეტი, თითო უნიტაზითა და თითო ხელსაბანით.

<u>+4.50 ნიშნულზე:</u>

- **სვ ჯგუფად** დაკლასიფიცირებული კომერციული სივრცის დაკავებულობის დატვირთვა აღნიშნულ დონეზეც აღემატება 50 დამკავებელს და უტოლდება 320 დამკავებელს, შესაბამისად წესების 1602.2 ქვეთავის მე-2 გამონაკლისის თანახმად საჭიროა ცალ-ცალკე სქესისათვის წყალსადენი სისტემების მოწყობა, რაც წარმოდგენილი პროექტით გათვალისწინებულია. რაც შეეხება წყალსადენი სისტემების რაოდენობას, აღნიშნული პასუხობს წესების 1602.1 ცხრილის მოთხოვნებს და პროექტით აღნიშნული

სართულისთვისაც გათვალისწინებულია ორი ტუალეტი, თითო უნიტაზითა და თითო ხელსაბანით.

- ორივე სართულის დონეზე ასევე გათვალისწინებულია სამომსახურეო ნიჟარების მოწყობა, თანახმად 1602.1 ცხრილისა.
- იმის გათვალისწინებით რომ შენობაში გათვალისწინებული ტექნიკური სივრცე წარმოადგენს შენობის მთავარი ფუნქციის დამხმარე სივრცეს, რომლებიც არ იქნება ძირითადად დაკავებული, აღნიშნული სივრცეებისთვის დამატებით წყალსადენი სისტემების არ მოწყობის საკითხი დასაშვებად მიგვაჩია.

13 ლიფტის შეფასება:

- საპროექტო დოკუმენტაციით დაკმაყოფილებულია 1701.5 ქვეთავის მოთხოვნა და შენობას ემსახურება ერთი ლიფტი. საპროექტო ლიფტი განკუთვნილია როგორც სატვირთო გადაზიდვებისათვის, ასევე მგზავრთა გადასაადგილებლად. ლიფტი პასუხობს მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტების მოთხოვნებს. იხილეთ სტანდარტის შეფასება.
- ლიფტის შახტი შემოზღუდულია ცეცხლმედეგი ზღუდეებით, რომელა ცეცხლმედეგობა განსაზღვრულია 2 საათით. აღნიშნული შეესაბამება 1702.1 ქვეთავის მოთხოვნას; ხოლო ლიფტის შახტის შემომზღუდავის ღიობი დაცულია მე-7 თავის მოთხოვნათა შესაბამისად და ასეთი ღიობში მოწყობილი კარის ცეცხლმედეგობა განსაზღვრულია 90 წუთით, რაც შეესაბამება 1702.1.1 ქვეთავის მოთხოვნას.
- საგანგებო ვითარების ნიშანი ლიფტით სარგებლობასთან დაკავშირებით („ხანძრის დროს ლიფტები არ მუშაობს. ისარგებლეთ კიბეებით“) მოწყობილია ლიფტისათვის.
- ლიფტის შემოზღუდული ფოიე საჭირო არ არის, შენობის სართულიანობისა და იმის გათვალისწინებით, რომ მთელი შენობა აღჭურვილია ავტოსაშხეფი სისტემით, რაც შეესაბამება 713.14.1 ქვეთავის მოთხოვნებს.
- ლიფტი არ არის განთავსებული ისეთ შემომზღუდავში, რომელშიც გზა-კიბეა. ყოველივე აღნიშნული შეესაბამება 1702.7 და 1023.5 ქვეთავებს.

დასკვნა

